# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია                    “ 12 ” დეკემბერი 2018 წ.

## 1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

“ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში - “ხელშეკრულება”) – “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და “სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ” დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

“შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

“მიმწოდებელი” ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

“ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის;

“დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

## 2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ერთის მხრივ შ.პ.ს. “საქართველოს ტელერადიოცენტრი”-ს (მისამართი: ქ.თბილისი, ფუნიკულიორის ზედა პლატო; ტელ: 2506336, 2368116; ს/ნ №203829250; ანგ №:GE78BG0000000181761401; ს.ს. “საქართველოს ბანკი”-ს ცენტრ.ფილიალი, კოდი BAGAGE22; დირექტორი: გიორგი დეკანოსიძე) – შემდგომში “შემსყიდველს” და მეორეს მხრივ შ.პ.ს. “თეგეტა მოტორსი” (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ, №5; ტელ: 2244444; 264444; ს/კ 202177205, სს “თიბისი ბანკი”; ანგ№ GE80TB0600000024467853; კოდი: TBCBGE22 - გენერალური დირექტორის მინდობილი პირი, გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი თეიმურაზ დარისპანაშვილი) (მინდობილობა N 181408890) – შემდგომში “მიმწოდებელს” შორის.

## 3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საწარმოს დიზელ გენერატორებისთვის დიზელის საწვავის კომპრესომეტრს და ზეთის წნევის შესამოწმებელი მანომეტრს (**CPV 38400000 ფიზიკური მახასიათებლების შესამოწმებელი ხელსაწყოები CPV 38410000 – გასაზომი ხელსაწყოები)** შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, *“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის “ს”-ქვეპუნქტის შესაბამისად მონეტარული ზღვრების დაცვით.*

3.2 შესყიდვის ობიექტის ზუსტი დასახელება, შესაბამისი მახასიათებლები, რაოდენობა და ფასი ერთეულის მიხედვით მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **332 (სამასოცდათორმეტი) ლარს.** აღნიშნულ თანხაში შესულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები, რომელთა გადახდაც ეკისრება მიმწოდებელს, მათ შორის დღგ.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების დაფინანსების წყაროა შემსყიდველის 2018 წლის სახსრები – საკუთარი შემოსავლები.

## 5. მხარეთა უფლება მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროლობასა სრულყოფილებაზე).

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

5.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე

5.5. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.6. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.7. თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მეორე მხარისაგან ამ ხელშერულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება.

5.8. თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს მეორე მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, ან მათი არაჯეროვნად, არაკეთილსინდისიერად ან/და არადროულად შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონელი მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ. №5.

6.2. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომლის საფუძველია სასაქონლო ზედნადები.

6.3. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში.

6.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასა და ხელმოწერაზე შემსყიდველის მხრიდან პასუხისმგებელი პირია: მ.ხუბულავა;

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებზე კონტროლს განახორციელებენ შემსყიდველი საწარმოს შემდეგი თანამშრომლები: გ.ცინცაძე, გ.წამალაშვილი, მ.ხუბულავა, ი.ძნელაძე.

## 8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელს არ გააჩნია რაიმე ნაკლი ან დეფექტი და იქნება ვარგისი თავისი დანიშნულებით გამოყენებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ დაუყონებლივ, ბრალეული გაჭიანურების გარეშე, საკუთარი სახსრებითა და რესურსებით უზრუნველყოს ნაკლის და დეფექტის აღმოფხვრა, ხოლო მისი ვერ უზრუნველყოფის შემთხვევაში, უსასყიდლოდ შეცვალოს საქონელი.

## 9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში. ამასთან, ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ამ ხელშეკრულების 6.2. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია და საგადასახადო ანგარიშფაქტურა . ამ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

## 10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს და მისი შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. შემსყიდველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს გაზრდილი ფასით საქონლის მიღებაზე და შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება. ამასთან, უზრუნველყოს ფასის ცვლილებამდე მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად.

## 11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

11.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლების გადაცემა

12.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობანი.

## 13 ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის 'ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინებების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან საქონლის მიწოდებისათვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

14.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

14.3. შემყიდველის მიერ ხელშეკრულების 9.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

14.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.5. იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების რომელიმე მხარეზე დაკისრებული პირგასამტეხლო გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

## 15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე;

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ბ) ამ ხელშეკრულების 14.5. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.6. ამ მუხლის 15.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

## 16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხის დავის გადაწყვეტის შესახებ გადაეცემა სასამართლოს.

## 17. სხვა პირობები

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში (*გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით*), თუმცა არაუგვიანეს 2019 წლის 31 იანვრისა.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| **შ.პ.ს. "საქართველოს ტელერადიოცენტრი"** | **შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი"** |
| მთაწმინდა, ფუნიკულიორის ზედა პლატო; | ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ, №5; |
| საიდენტიფიკაციო № 203829250; | საიდენტიფიკაციო № 202177205; |
| სს "საქართველოს ბანკი" | სს "თიბისი ბანკი"; კოდი: TBCBGE22; |
| ანგ№GE78BG0000000181761401; კოდი: BAGAGE22 | ანგ№ GE80TB0600000024467853; |
| ტელ: 2368116; 2506336; ფაქსი:2506333 | ტელ: 2244444; 264444; ფაქსი:457033 |
| დირექტორი: | გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი: |
| ------------------------------------------ /გ. დეკანოსიძე/ | ---------------------------------- /თ. დარისპანაშვილი/ |

დანართი №1

| № | შესყიდვის ობიექტის დასახელება (დეტალური აღწერა) | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო თანხა (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | (CPV 38400000 ფიზიკური მახასიათებლების შესამოწმებელი ხელსაწყოები CPV 38410000 – გასაზომი ხელსაწყოები) - დიზელის ძრავის კომპრესომეტრი **JGAI1302** | ცალი | 1 | 292 | 292 |
| 2 | CPV 38400000 ფიზიკური მახასიათებლების შესამოწმებელი ხელსაწყოები CPV 38410000 – გასაზომი ხელსაწყოები)-ზეთის წნევის შესამოწმებელი მანომეტრი **HS-A1019B** | ცალი | 1 | 40 | 40 |
| | | | | სულ ჯამი: | 332 ლარი |

**შემსყიდველი**

შ.პ.ს. "საქართველოს ტელერადიოცენტრი"

დირექტორი:

------------------------------------------------ /გ. დეკანოიძე/

**მიმწოდებელი**

შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი"

გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი:

------------------------------------------------ /თ. დარისპანაშვილი/

ქ.თბილისი 12 დეკემბერი 2018 წელი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

შ.პ.ს. "საქართველოს ტელერადიოცენტრი"-სა და შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი"-ს შორის 2018 წლის 12 დეკემბერის ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის "გ" და „ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების პროცესში ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ამ მუხლით განსაზღვრულ ინტერესთა კომფლიქტს, რასაც ვადასტურებთ წინამდებარე ხელწერილით ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით.

_______________ /გ.წამალაშვილი/

_______________ /მ.ხუბულავა/

_______________ /ზ.მარგიშვილი /

ქ.თბილისი "18" დეკემბერი 2018 წელი

# მიღება-ჩაბარების აქტი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შ.პ.ს.'საქართველოს ტელერადიოცენტრი"-ს წარმომადგენელი მ.ხუბულავა და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი"-ს გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი თეიმურაზ დარისპანაშვილი წინამდებარე აქტზე ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ: მხარეებს შორის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 12 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, შ.პ.ს. „საქართველოს ტელერადიოცენტრ"-მა მიიღო ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტი სრულად, რომელიც აკმაყოფილებს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. (**CPV 38400000 ფიზიკური მახასიათებლების შესამოწმებელი ხელსაწყოები CPV 38410000 – გასაზომი ხელსაწყოები**).

| | |
|---|---|
| შ.პ.ს. „საქართველოს ტელერადიოცენტრი" | შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი" |
| _______________ /მ.ხუბულავა/ | _______________ /თ.დარისპანაშვილი/ |

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0422553147 |
|---|---|---|

| 2 | 18/12/2018 |
|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| 3 | 14:47:24 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

| 4 | შპს თეგეტა მოტორსი | 202177205 |
|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

(დღგ-ს გადამხდელი)

| 5 | შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი | 203829250 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

| 7 | ქ.თბილისი აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N5 |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | ფუნიკულიორი ზედა პლატო |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | საზოგადოებრივი ტრანსპორტი |
|---|---|

ტრანსპორტირების სახე

| 10 | X |
|---|---|

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი | მყიდველი - 0 |
|---|---|---|

თანხა ლარებში

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დიზელის ძრავის კომპრესომეტრი | 20507564 | ცალი | 1.0000 | 292.0000 | 292.0000 |
| 2 | ზეთის წნევის შესამოწმ. მანომეტრი | 20508045 | ცალი | 1.0000 | 40.0000 | 40.0000 |

| 13 | 332 - სამას ოცდათორმეტი ლარი და ნული თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | ოპერატორი: ქეთევან ნებიერიძე |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | მერაბ ხუბულავა |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 18/12/2018 | 14:47:24 |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭვდის თარიღი 19/12/2018, 12:44:56

დანართი NoIII-05

დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის

31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

# საგადასახადო ანგარიშფაქტურა

გადაგზავნილი

| 1 | ეა-11 1425966 |
|---|---|

| 3 | დეკემბერი | 2018 |
|---|---|---|

ოპერაციის განხორციელების პერიოდი

(თვე სიტყვიერად, წელი)

| 4 | 18 | დეკემბერი | 2018 |
|---|---|---|---|

გამოწერის თარიღი

(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

| 5 | გამყიდველი |
|---|---|

| 5.1 | 2 | 0 | 2 | 1 | 7 | 7 | 2 | 0 | 5 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 5.2 | შპს თეგეტა მოტორსი |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

| 6 | მყიდველი |
|---|---|

| 6.1 | 2 | 0 | 3 | 8 | 2 | 9 | 2 | 5 | 0 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 6.2 | შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

| საქონლის (მომსახურების) დასახელება | ზომის ერთეული | მიწოდებული საქონლის რაოდენობა | საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დღგ-ს თანხა | აქციზის თანხა |
| ზეთის წნევის შესამოწმ. მანომეტრი | ცალი | 1.0000 | 40.0000 | 6.1000 | |
| დიზელის ძრავის კომპრესომეტრი | ცალი | 1.0000 | 292.0000 | 44.5400 | |
| | | სულ | 332 | 50.64 | |

| სასაქონლო ზედნადების No | | თარიღი | |
|---|---|---|---|
| 7 | 0422553147 | 8 | 18 - დეკემბერი - 2018 02:47 |

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა_______________________________ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა_______________________________ბ.ა.